ახალი ხარაგაული

399 (7) 21 მაისი, 2019 წ.

ხარაგაულში ფაშიზმზე გამარჯვების 74 წლის იუბილე აღნიშნა

9 მაისს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სამამულო ომის დროს გარდაცვლილთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს. ამჟამად ხარაგაულში შვიდი ომის ვეტერანია, თუმცა ღონისძიებაზე მოსვლა ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო.

74 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისტორიას ჩაბარდა თავისი შედეგებითა და მასშტაბებით ყველაზე სასტიკი ომი... ომი, რომელიც 1418 დღე გრძელდებოდა და 50 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულიდან ფრონტზე 5706 კაცი გაიწვიეს, 2704 მეომარმა შინ დაბრუნება ვეღარ შეძლო, 798 გმირული ბრძოლისათვის დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 6 მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ომის ველზე წასული 19 მამა-შვილი უკან აღარ დაბრუნებულა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთი ოჯახიდან ომში 4-5 ძმას უწევდა

წასვლა. ასე დაეცა ბრძოლის ველზე ოთხი ძმა სახვაძე - ვერტყვიჭალიდან, ოთხი ძმა ავალიანი-სარგვეშიდან, ოთხი ძმა ტაბატაძე -ხევიდან, ხუთი ძმა კუპატაძე-ვანიდან და სხვა. შინ დარჩენილ ხარაგაულელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ გამარჯვებაში. ჩვენი რაიონიდან გაიგზავნა 13 მილიონი მანეთი სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავების შესაძენად, 18 მილიონი-თავდაცვის ფონდში. შეგროვდა 100 ტონაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ასე უპასუხეს ხარაგაულელებმა მოწოდებას -„ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის.“

ამავე დღეს ღონისძიება გაიმართა ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში. შეკრებილმა საზოგადოებამ სამამულო ომის მონაწილეები გაიხსენეს, სკოლის მოსწავლეებმა კი ხარაგაულელი ომის ვეტერანის, გიორგი (ჟორა) ბლუაშვილის, ბიოგრაფიული მონაცემები და ოჯახის წევრებისადმი ფრონტიდან მისი გამოგზავნილი წერილები წაიკითხეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამამულო ომის მონაწილეებს პირად ანგარიშზე 600 ლარი ჩაერიცხებათ, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თითოეულისათვის 200 ლარი გამოიყო. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერია ომის ვეტერანებს ყოველთვიურად კომუნალურ ხარჯებს უფარავს.

ნიკოლოზ თოფურიძემ ფაშიზმზე გამარჯვების დღე ომის ვეტერანებს პირადად მიულოცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ და მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ ომის ვეტერანებს გამარჯვების დღე პირადად მიულოცეს.

„ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, თვალებს დავხუჭავ თუ არა, ყველაფერს ვხედავ. თვალწინ მიდგას დაღუპული ჯარისკაცების, ქალების, ბავშვების გვამები, რომლებსაც ფეხით გადაადგილების დროს აქეთ-იქეთ ვწევდით. რომ მახსენდება, რა გამოვიარეთ, მიჭირს გააზრება, ხანდახან არ მჯერა.“ - ასე იხსენებს მეორე მსოფლიო ომის დეტალებს ეკატერინე წიქარიშვილი. ქალბატონმა ეკატერინემ 5 წელი გაატარა ყველაზე სასტიკ და სისხლისმღვრელ ომში. ქართველი მემანქანის სევალოდ წიქარიშვილის თანაშემწე იყო, რომელსაც ომის დამთავრების შემდეგ, ეკატერინე ცოლად გაჰყვა და სოფელ ლაშეში საცხოვრებლად ჩამოვიდა. 73 წელია ამ კუთხეს არ მოშორებია, ახლაც არ მიჰყვება შვილებს ქალაქში.

ის 19 წლის იყო მეორე მსოფლიო ომში რომ აღმოჩნდა. ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე ვერა მასკოვცევა-

არევაძე ახლა 97 წლისაა. ვერა ბებომ ყველაზე კარგად იცის მშვიდობის ფასი. ომის წლებს დიდი ტკივილით იხსენებს. „გადმოცემაც კი მიჭირს, რა ხდებოდა, შიმშილით იხოცებოდა ხალხი. მომავალი მეუღლე, ვანო არევაძე, ომში გავიცანი, ერთმანეთი შეგვიყვარდა და ვახანში წამოვყევი,“- გვიყვება ვერა არევაძე.

თბილისის რკინიგზის ინსტიტუტის სტუდენტი იყო გიორგი (ჟორა) ბლუაშვილი, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტს ე.წ „ჯავშანი“ ჰქონდა, სხვა რამდენიმე სტუდენტთან ერთად, მან სწავლის საკითხი დროებით გადადო და იქ გაეშურა, სადაც ქვეყნის ბედი წყდებოდა. „პირველად ფრონტზე, რომ მოვხვდი, ძალიან გამიჭირდა. ბავშვობიდანვე მქონდა მიცვალებულებისადმი შიში. რამდენიმე ღამე თეთრად გავათენე, შემდეგ კი ცოტ-ცოტა დავძლიე შიში. ყველაზე მეტად ტყვედ ჩავარდნის მეშინოდა. იქ ხომ გაუსაძლისი ტანჯვა-წამება და დამცირება მელოდა. თუ ტყვედ ჩავვარდებოდი, გადაწყვეტილი მქონდა, თავი მომეკლა და ამისთვის საგანგებოდ გადანახულ ერთ ტყვიას მუდამ თან ვატარებდი. მაგრამ ტყვიამ დანიშნულება შეიცვალა, განგების წყალობით, ის ასცდა ჩემს საფეთქელს და ჰაერში გავისროლე გერმანიის ქალაქ შვერინში, როცა ჩვენი გამარჯვება გახდა ცნობილი.“-ამბობს ბატონი ჟორა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, ომის ვეტერანებთან სტუმრობისას კიდევ ერთხელ ისაუბრა მეორე მსოფლიო ომში ქართველების დამსახურებაზე და გმირებს დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

ხარაგაულში „ანდრიობა“ აღნიშნა

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, 12 მაისს, ხარაგაულში „რკინის ჯვარი“ 500-ზე მეტმა ადამიანმა მოილოცა. 18 წლის წინ ხარაგაულელი შოთა ხარატიშვილის ინიციატივით, „რკინის ჯვარზე“ მოსალოცად ხარაგაულელი ახალგაზრდები პირველად ავიდნენ. ამის შემდეგ მსვლელობა ტრადიციად იქცა და ყოველ წელს პილიგრიმების რაოდენობა იმატებს. გადმოცემის თანახმად, ანდრია მოციქულმა საქართველოში მოგზაურობისას რამდენიმე ადგილზე აღმართა ჯვარი, მათ შორის, ხარაგაულის ტერიტორიაზე, მთა „რკინის ჯვარზე“, რომელიც ზღვის დონიდან 2439 მეტრზე მდებარეობს. მომლოცველებმა წმინდა ანდრია პირველწოდებულის მირონმდინარი ხატი მოციქულის ნაკვალევზე გაატარეს და „რკინის ჯვარზე“ დააბრძანეს. არაერთი დაბრკოლების მიუხედავად, უფლის ნებით, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

აღსანიშნავია, რომ წელს „ანდრიობას“ ამერიკის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში, ელიზაბეთ რუდიც შეუერთდა, რომელმაც მთა „რკინის ჯვარი“ ტურის ახალგაზრდა ორგანიზატორებთან ერთად მოილოცა.

მსვლელობაში უკვე მეოთხე წელია, ტრადიციულად მონაწილეობენ საქართველოს Of Road - ის ფედერაციის წარმომადგენლები.

ტურის ფარგლებში, პილიგრიმებს ეკო ტურიზმის ასოციაცია ხარაგაულის ნობათით გაუმასპინძლდა. ასოციაცია ამ ეტაპზე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში ეკო ტურიზმის განვითარებისთვის პროექტს ახორციელებს. პროექტი ხარაგაულელი ახალგაზრდების ინიციატივით, ელიზაბეთ რუდის მხარდაჭერითა და usaid -ის დაფინანსებით ხორციელდება.

პილიგრიმული ტურის მხარდამჭერია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და საქართველოს საპატრიარქო.

კიცხის სკოლის შენობა იწყება

სოფელ კიცხში საჯარო სკოლის ახალი შენობა აიგება. მუნიციპალური განვითარების ფონდმა ხელშეკრულება უკვე გააფორმა კომპანიასთან, რომელიც, პირველ რიგში, პროექტს მოამზადებს და შემდეგ სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებს. 150 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა Design-Build მეთოდით აშენდება და მასზე 2 420 643 ლარი დაიხარჯება.

სახელშეკრულებო ვადებით პროექტი 5 თვეში უნდა მომზადდეს, ხოლო სამშენებლო სამუშაოები 12 თვეში დასრულდეს.

2020-2021 სასწავლო წელს კიცხის სკოლა ახალი შენობით შეხვდება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ჩვ სიახლეებს სთავაზობს განათლების საქმინისტრო მასწავლებლებს

განათლების სამინისტრომ, სკოლებში სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით, განათლების კომპლექსური რეფორმის ახალი ეტაპი დაიწყო. რეფორმის მიზანია ისეთი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც მოსწავლეებს 21-ე საუკუნის გამოწვევების მისაღებად საჭირო ცოდნასა და უნარებს შესძენს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მაღალკვალიფიციური, მოტივირებული თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი, ძლიერი მასწავლებლები, რომელთაც ღირსეული ანაზღაურება ექნებათ.

რეფორმის ფარგლებში 2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება 150 ლარით და მეტით გაეზრდება. სახელფასო ზრდა ასევე შეეხებათ რესურსცენტრების, სკოლების დირექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს. ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება.

პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებიც 2019 წლის ზაფხულში დაადასტურებენ მინიმალურ კომპეტენციას და აიმაღლებენ სტატუსს, ასევე მიეცემათ გაზრდილი ანაზღაურება 2019 წლის სექტემბრიდან. პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, 2019 წლის ბოლომდე შესაძლებლობა მიეცემათ აიმაღლონ სტატუსი დამატებითი კრედიტქულების მოპოვებით. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას.

სახელმწიფო იზრუნებს პრაქტიკოსი საფეხურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე შესაბამისი გადამზადების პროგრამებით. ამის შემდგომ მათ კვლავ მიეცემათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების შესაძლებლობა 2019 წლის შემოდგომაზე. ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე - დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ხელფასის შენარჩუნებით.

სიახლეებია საპენსიო ასაკის ღვაწლმოსილი პედაგოგოგებისთვისაც. იმ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურების, სტატუსის ამაღლების და შესაბამისად პროფესიული საქმიანობის გაგრძელების სურვილი, ნებაყოფლობით არჩევანის საფუძველზე 2019 წელს სახელმწიფო ერთჯერადად გადასცემს ფულად ჯილდოს, ორი წლის ჯამურ ხელფასს, ასევე შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს პედაგოგებს ორჯერ ეძლევა შესაძლებლობა, დაადასტურონ მინიმალური კომპეტენცია და აიმაღლონ სტატუსი. ორივე გამოცდის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაშიც კი მათ შეეძლებათ ისარგებლონ მინიჭებული პრივილეგიით და მიიღონ სახელმწიფო ჯილდო 2019 წლის შემოდგომაზე.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის ხუთ საბავშვო ბაღში მზის ელექტროსადგური დამონტაჟება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხუთ საბავშვო ბაღში 27 - კილოვატიანი მზის ელექტროსადგურის დამონტაჟება იგეგმება. აღნიშნული პროექტი არასამთავრობო ორგანიზაციამ - „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ - გრანტის სახით მოიგო და დაფინანსება მოიპოვა.

ა/ო-ის ხელმძღვანელმა ხათუნა მანჯავიძემ, მერის თანაშემწე ლაშა გელაშვილმა და ბაღების გაერთიანების დირექტორმა მამუკა ჭიპაშვილმა პროექტის დეტალები განიხილეს.

აღსანიშნავია, რომ მზის ელექტროსადგურები ბორითის, წყალაფორეთის, კიცხის, ვარძიისა და დაბის პირველ საბავშვო ბაღში მოეწყობა.

ხათუნა მანჯავიძის ინფორმაციით, ბაღების შერჩევა წინასწარი კვლევისა და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე მოხდა.

პროექტი აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

ღირსეული თაობების აღმზრდელ პედაგოგს მერი გიორგიძეს 80 წელი შეუსრულდა

ხარაგაულის ღვაწლმოსილ პედაგოგს, მერი გიორგიძეს, 80 წელი შეუსრულდა. მისი მადლით გამოზრდილებმა და მისი სიყვარულის ქურაში გამოვლილმა ყველა თაობის მოსწავლემ მიულოცა ამაგდარ პედაგოგს საიუბილეო თარიღი და მასთან ურთიერთობის უაღრესად საინტერესო, სახალისო და ძალზე თბილი ეპიზოდები გაიხსენეს.

საიუბილეო საღამოს რეჟისორი იყო მერი მასწავლებლის პირველი სადამრიგებლო კლასის მოსწავლე, ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე, რომელმაც მკაცრად გაასაიდუმლოა შეხვედრის მზადების პროცესი, რათა სიურპრიზით უფრო მეტი სიხარული მიენიჭებინა საყვარელი აღმზრდელისთვის. მადლიერების გრძნობით აღვნიშნავ, რომ სიურპრიზის შესატყვისი გარემო შეუქმნა იუბილარს და სრულყოფილად შეაფასა მისი ღვაწლი მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარინე ხვედელიძემ.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მერი გიორგიძემ, 1962 წელს დაამთავრა ქალაქ გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, დაუბრუნდა მშობლიურ რაიონს და აქტიურად ჩაება მოზარდთა თაობის აღზრდის უკეთილშობილეს საქმეში. 5 წლის განმავლობაში იგი სოფელ ვარძიის აღსაზრდელებს მოძღვრავდა, ხოლო 1968 წლიდან ხარაგაულის რკინიგზის მეათე საშუალო (ახლანდელი მე-3 საჯარო) სკოლაში გადმოინაცვლა, სადაც დღემდე თავდადებით ემსახურება საყვარელ პროფესიას.

ხარაგაულის მერიის სახელით, ქალბატონ მერი გიორგიძეს საგანმანათლებლო სივრცეში ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობისთვის და მრავალი თაობის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელი და სიმბოლური საჩუქარი გადაეცა.

სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადაეცა ქალბატონ მერის, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის კობა ლურსმანაშვილის სახელით.

გარდა ამისა, საიუბილეო საღამოზე ამაგდარ პედაგოგს მიესალმნენ და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს ხარაგაულის საგანმანათლებო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ, სპმთპ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლალი სებისკვერაძემ და მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნაძემ.

ეკა შავიძე

სამაღლობელი ისრაელიდან

უძლიერესია ქართველთა და ებრაელთა 26- საუკუნოვანი მეგობრობის ფესვები. მტკიცე საძირკველზე დღეს კიდევ უფრო მეტ სხივმოსილებას იძენს ამ ორი ერის ურთიერთსიყვარული და პატივისცემა. ამის დასტურია თუნდაც წლევანდელი „ორმაისობა“ იგივე „გვირილობა“, როცა საყვარელ ქალაქ ქუთაისს ესტუმრა ისრაელის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სრულიად საქართველოსა და ქართველებზე უსაზღვროდ შეყვარებული პროფესორი პაატა იოსებაშვილი.

გვეამაყება, რომ დელეგაციამ საპატიო წევრად ქართველთა მხრიდან მიიწვია ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის მესაჭე ქალბატონი იზა ვეფხვაძე.

ვიზიტის დასრულების შემდეგ, გაზეთმა „ახალმა ხარაგაულმა“ დელეგაციის ხელმძღვანელისგან ასეთი შინაარსის სამადლობელი წერილი მიიღო.

„ქალბატონ იზა ვეფხვაძეს მე ქალღმერთი და „სიყვარულის ჯადოქარი“ ვუწოდე, რადგან დაქრის ქვეყნის ყველა კუთხეში, რომ მიაწოდოს სულიერი საზრდო-საკვები თავის საყვარელ ხალხს. მეხსიერებისა და მეტყველების უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული, უმშვენიერესი ლიტერატურული თეატრის დამაარსებელი და დირექტორი, სცენარისტი, რეჟისორი, 12 წიგნისა და 60 სპექტაკლის ავტორი ქალბატონი იზა ვეფხვაძე ქართულ-ებრაული ურთიერთობის დიდი მოამაგე და ქომაგია.

ამ სახელოვანმა ქალბატონმა კიდევ უფრო გაალამაზა და გაამდიდრა „ორმაისობის“ ზეიმიცა და ჩვენი დელეგაციაც.

ქალბატონო იზა!

დიდი მადლობა თქვენ, მეგობრობის ეტალონო, ებრაელთა დელეგაციისგან. მომავალ „ორმაისობამდე!“

ჩვენი გაზეთის მკითხველო!

კარგად იცით, თუ რა დიდი სიხარულით ეგებება „გვირილობის“ ტრადიციულ დღეასასწაულს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი და მისი საზოგადოება. ამის შესატყვისია მადლიერების ის წერილი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ნიკოლოზ თოფურიძემ და საკრებულოს თავმჯდომარე ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ მიიღეს. მასში ვკითხულობთ:

ქალბატონო მანანა!

ბატონო ნიკოლოზ!

მოგესალმებით დიდი პატივისცემით ებრაელთა დელეგაციის სახელით. თქვენი არაჩვეულებრივი მუნიციპალიტეტის საზოგადოებას ვუსურვებთ წინსვლასა და წარმატებებს.

დელეგაციის წევრად ქართველთა მხრიდან მიწვეული გვყავდა ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი ქალბატონი იზა ვეფხვაძე, რომელიც ებრაელი ერის დიდი მოამაგე და მეგობარია. ამის დასტურია მისი წიგნი „ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს“ და ამავე სახელწოდების სპექტაკლი, რომელიც წარმატებულად მრავალჯერ დაიდგა საქართველოში და შემდეგ- ისრაელში.

მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, თქვენს მუნიციპალიტეტსა და ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, რომლის წევრობამ უდიდესი სულიერი და ინტელექტუალური რესურსი შეჰმატა ჩვენს დელეგაციას.

პატივისცემით,

ებრაელთა დელეგაციის ხელმძღვანელი, არქიტექტორი, პროფესორი პაატა იოსებაშვილი

მერი გიორგიძე

„ბოლო ზარი“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში

20 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში „ ბოლო ზარი“ ერთდროულად დაირეკა. სკოლას 174 მეთორმეტეკლასელი დაემშვიდობა. სპეციალურად ამ დღისთვის სკოლებში ღონისძიებები მოეწყო. კურსდამთავრებულები იუმორისტული, მუსიკალური, ქორეოგრაფიული და სხვა დასამახსოვრებელი ნომრებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე.

ახალგაზრდებს სკოლის დასრულება განსხვავებულად მიულოცა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ. ბიუროს უფროსის, ჟანა ნემსაძის, ინიციატივით, მურთაზ და სოსო აბაშიძეების სახელობის საფეხბურთო მოედანზე მათთან შეხვედრა მოეწყო. შეხვედრაზე იმყოფებოდა პარლამენტარი კობა ლურსმანაშვილი, რომელმაც მოსწავლეებს სკოლის დამთავრება პირადად მიულოცა და ცხოვრების შემდგომ ეტაპზე წარმატებები უსურვა. მოსწავლეებს ასევე მიესალმნენ საჯარო სკოლების დირექტორები, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

დასასრულ, შეკრებილებმა სიმბოლურად ჰაერში გაუშვეს ფერადი ბუშტები, რომლებზეც თავიანთი სურვილები დააწერეს.

ანსამბლ „უბისს“ ბაქოში ფესტივალში მონაწილეობისათვის აღგილობრივი ბიუჯეტიდან 10 ათასი ლარი გადაეცა

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი მათ საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. ცვლილების თანახმად, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრს“ 19,5 ათასი ლარი გადაეცა, მათ შორის, მუზეუმს ახალი ექსპონატებისათვის საჭირო ბიუსტებისა და ჩარჩოებისათვის, ბიუსტების სადგამისა და საგამოფენო დარბაზის განათებისათვის 10,0 ათასი ლარი; ოთარ აბაშიძის სახელობის თეატრს ლატვიის ქალაქ რიგის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობისათვის 4,5 ათასი ლარი და ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლ ,,უბისს“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოში საერთაშორისო ფესტივალში მონანილეობისათვის 5,0 ათასი ლარი; გარდა ამისა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, საჭიროა, ა(ა)იპ ,,კულტურის ცენტრის“ სუბსიდიიდან 13,8 ათასი ლარი გადაეცეს სსიპ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს - ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამის დასაფინანსებლად მიმდინარე გრანტის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სალოტბარო სკოლაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისათვის.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა ანსამბლ „უბისის“ დაფინანსების საკითხზე ისაუბრა. „დეპუტატებისა და მშობლების მოთხოვნა იყო, ფესტივალში მონაწილეობის თანხები გაზრდილიყო. არიან ოჯახები, საიდანაც ერთზე მეტ ბავშვს უწევს წასვლა, ამიტომ ასეთებს უნდა გავუნიოთ დახმარება. რაც შეეხება მუზეუმისათვის თანხების გადაცემას, აქ მეტი დასაბუთება იყო საჭირო.“-განმარტა ჭიპაშვილმა.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე ამბობს, რომ მხატვარ მამუკა ცუცქირიძესთან პირადად ჰქონდა საუბარი, თუ რისთვის იყო საჭირო ზემოხსენებული თანხა. „250 ათასი ლარის ბიუსტებზეა საუბარი, რომლებიც ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში განთავსდება. მათგან სამია ასლი, დანარჩენი კი ორიგინალია.“-აღნიშნა ბატონმა დავითმა.

ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის მოადგილე ქეთევან ზუმბაძე აცხადებს, რომ ბიუსტების შეძენა ცუდი არაა, თუმცა ამ ეტაპზე მაგის ფუფუნება ხარაგაულს არ გააჩნია. დეპუტატი თვლის, რომ ამ თანხით გაცილებით ღირებული პროექტის განხორციელება შეიძლებოდა.

დეპუტატთა მოთხოვნით, საბიუჯეტო ცვლილებაში მოხდა კორექტირება. კერძოდ, ქორეოგრაფიულ ანსამბლ „უბისს“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოში საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობისათვის, ნაცვლად 5 ათასი ლარისა, 10 ათასი ლარი გადაეცა.

ხმათა უმრავლესობით ყველა წარმოდგენილი ცვლილება დამტკიცდა.

თამარ მაღრაძე

სანახევროდაც ვერ ვიტყვი სათქმელი...

კალამს ხელი მოვკიდე, მაგრამ ვიცი, სანახევროდაც ვერ ვიტყვი სათქმელს, რადგან დიდი და ღრმა გრძნობა გულის ფსკერზე ილექება, ზედაპირზე კი ის ემოცია ტივტივებს, რომლის დამორჩილებაც შეიძლება სიტყვებით... ძალიან ძნელია სიტყვა თქვა ქალბატონ მერი გიორგიძეზე, სიტყვის ჭეშმარიტ დიდოსტატზე, სიტყვის მეჩუქურთმესა და დიდ კალმოსანზე, რომლის სიტყვა და პუბლიკაციები მოვარაყებულ-მოოქროვილია ქართული სიტყვის ჩუქურთმით... მე წილად მხვდა ბედნიერება, რომ ქალბატონი მერი გიორგიძე ჩემი სიტყვიერების პედაგოგი და კლასის დამრიგებელი ყოფილიყო. კრიალოსანივით აიკინძა ჩემი ფიქრები. აი, როგორ შემოვიდა ის ჩემს მეხსიერებაში: დაწყებითი კლასების დასრულების შემდეგ, სრულიად სხვა სივრცე იშლება, ახალი პედაგოგები, ახალი საგნები, კლასის დამრიგებელი... ყველაზე ცხოველი ინტერესი და ემოცია ამ ასაკში კლასის დამრიგებელთან შეხვედრას ახლავს. ყავისფერი, თეთრარშიაშემოვლებული კაბა-კოსტუმითა და მაღალქუსლიანი შავი ფეხსაცმელებით შემოვიდა კლასში სანდომიანი, ლამაზი ქალბატონი, კეთილი, გამჭოლი მზერით, სიყვარულით სავსე თვალებით და უცნაურად თბილად, დიდი ხნის ნაცნობივით მოგვეფერა, სიყვარულის საბურველი შემოგვახვია... სულ მალე ჩვენს სულში ჩასახლდა და ჩვენი ბავშვობის განუყოფელ ნაწილად იქცა თითოეულის მესაიდუმლედ, დამრიგებლად, კეთილ საქმეთა წამქეზებლად, სიტყვიერებისა და ყოველივე ქართულის მესაძირკვლედ... მან ჩვენს სულში დიდი და ნათელი სართულების შენება დაიწყო... ამ სართულებს ფართო და ნათელი სარკმლები ჰქონდა, საიდანაც მერი მასწავლებლის გამოცდილი და ჩვენი გამოუცდელი თვალებით ვიმზირებოდით. ქართული სიტყვის ძალა და მადლი ცოცხლდებოდა ჩვენ თვალწინ, ქართული მწერლობის ფოლიანტები იშლებოდა და ისე შემოდიოდა მის აღსაზრდელებში ქართული სული, რომ ვერც კი ვგრძნობდით მაშინ, მერი მასწავლებლის რაოდენ დიდი ენერგია და ძალისხმევა იდო ამ აღტაცებაღფრთოვანებაში... მის მიერ შემოღებული „ცოდნის რვეულები" მარგალიტებით ივსებოდა... ვოცნებობდი მასავით მესაუბრა, მეტყველების მისეული მანერა გადამეღო და ისე ლაღად მენავარდა მწერლობის ცის უსაზღვრო კაბადონზე, როგორც მერი მასწავლებელს შეეძლო. მერე ძალიან გავუშინაურდით, დროდადრო გულსაც ვტკენდით, ჩვენი ცელქობის, შატალოს თუ მცირე გადაცდომების გამო, პირველ დარტყმებს თავის თავზე იღებდა, მეხამრიდივით იყო ჩვენთვის, მშვიდად ვგრძნობდით თავს მის ფრთებქვეშ. როდესაც სკოლაში ან სკოლის გარეთ სიტყვით გამოსვლა მიწევდა, ვცდილობდი მერი მასწავლებლისთვის მიმებაძა, მასავით შემეზავებინა სიტყვები ემოციით, იუმორით, შინაარსით... მე ჩემი პატარა ნაფეხურებით მის დიდ კვალს მივყვებოდი.

დასრულდა მოსწავლეობის უტკბესი პერიოდი, როგორც წესი, სკოლას დავემშვიდობეთ და არჩეული გზებით დავქსელეთ ლაბირინთები. მერი მასწავლებლის თვალების ნათელი და გულის ნაწილი საგზლად გავიყოლე სტუდენტურ გზაზე. რამდენჯერ წამომეშველა მის გატანებულ „ცოდნის ხურჯინში" დავანებული მარგალიტები... ვიღებდი და არ ილეოდა, სტუდენტობისას მიღწეული ყველა წარმატების სათავედ ის ხურჯინი მესახებოდა, იქ იყო ყველაფერი, რაც აღმასვლას მიადვილებდა... მაშინ შევიგრძენი ნამდვილი ფასი მერი მასწავლებლისა. მერე ისევ ხარაგაულს დავუბრუნდი და დაიწყო ჩემი და მერი მასწავლებლის ურთიერთობის სრულიად ახალი, განსხვავებული პერიოდი. მე ბედმა გამიმართლა, ის ჩემი ცხოვრების მარადიულ მასწავლებლად იქცა. ჩვენი ცხოვრების წლები ისე ჩაეწნა და შეუსისხლხორცდა ერთმანეთს, რომ ერთ საზრუნავ-საფიქრალად იქცა, ზღვარი კი მუდამ მასწავლებელ-შეგირდობაზე გადიოდა... მისი ყოველი შეხვედრა, ახლაც კი, ხუთ ათეულ წელიწადს გადაცილებულს, უდიდესი კრძალვით და მოწიწებით მავსებს. დღესაც, როცა მე სცენაზე ვარ და მერი მასწავლებელი-დარბაზში, სპექტაკლს, როგორც გაკვეთილს, ისე ვაბარებ, ნათელ თვალებში ვუმზერ და იქ ვკითხულობ მთავარ სათქმელს. ჩემი ცხოვრების გზაზე, ჩემი ყველა სიხარული, განცდა, ემოცია, განსაცდელი, თანაბრად გაიზიარა... მისი ერთგულების ნიჭი და თანადგომა საოცარ ძალას მმატებდა და მმატებს დღემდე...

მე ბედმა იმ საოცარი შემთხვევის გმირად მაქცია, როცა პედაგოგი წიგნს უძღვნის თავის მოსწავლეს, არადა პირიქით უნდა იყოს. მერი მასწავლებლის შექმნილი წიგნი „იზა ვეფხვაძე-დიდ წინაპართა გამცოცხლებელი"- მისი ჩემდამი სიყვარულის ოაზისია. სწორედ ამ სიტყვებით შეაფასა გაცნობის შემდეგ ეს წიგნი პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა რეზო ბალანჩივაძემ. ამაზე არაერთგზის აღნიშნა გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ, ქართულ სინამდვილეში პირველი შემთხვევაა, როცა მასწავლებელი მოსწავლეს წიგნს უძღვნისო... მე ბედმა გამანებივრა, რადგან მერი მასწავლებელი მარგუნა ჩემი არა მარტო ბავშვობის, არამედ მთელი ჩემი ცხოვრების გზის მასწავლებლად და დამრიგებლად, გზის გამკვალავადაც და შემფასებლადაც...

ენით უთქმელი ბედნიერებაა, როცა შენი მასწავლებელი საზოგადოებაში სიტყვის დიდოსტატად, სწორუპოვარ მოკალმედ, საუკეთესოთა შორის საუკეთესო პედაგოგად მიიჩნევა და ამ სიამაყის ბურჯების მცირე ნაწილს გულმოდგინედ ეხიდები... ბედნიერებაა იყო მარადიული მოსწავლე ისეთი პედაგოგისა, როგორიც მერი გიორგიძე გახლავთ... 80 წლისა შესრულებულა ჩემი მერი მასწავლებელი... მე 80 წლის მერი გიორგიძეს არ ვიცნობ, ის მარადიულად ახალგაზრდა, დაუღალავი, ენერგიული და ძიების ნიჭით სავსეა, ხალასი იდეებითა და მიზნებით. 80 წლის იუბილეზე მისი აღზრდილი თაობები შევიკრიბეთ, კიდევ ერთხელ მოვისმინეთ მისი მთრთოლვარე ხმით ჩატარებული გაკვეთილი და უნდა დამიჯეროს მკითხველმა, რომ ამ შეხვედრის ემოციის გადმოცემა ჩემს ძალებს აღემატება, ის მხოლოდ შეიძლება განიცადო და სიტყვებით არ გააუბრალოო...

ჩემო მერი მასწავლებელო!

ვერ ვპოულობ სიტყვებს, რითაც თქვენი პიროვნება შემიძლია, შევაფასო, რითაც ჩემი სიყვარული შემიძლია გამოვხატო... ყველაფერი მინდა ერთ სიტყვაში დავტიო, სიტყვაში, რომელიც თავის თავში იტევს სამყაროს — მიყვარხართ!...

თქვენ დიდი კაცის მეუღლე იყავით, კაცის, რომელმაც ხარაგაულს მატიანე შეუქმნა, თქვენ საუკეთესო შვილების დედა და საუკეთესო შვილიშვილების ბებია ხართ, თქვენ დააფრთიანეთ არაერთი თაობა, თქვენი სული, გული, ემოცია, ნიჭიერება, მადლი ყველას ეყო და ყველას თანაბრად მოჰფინეთ... დიდ მადლს ატარებთ, დიდი სიყვარულით დადიხართ დედამიწაზე და არიგებთ უხვად ყველაფერ იმას, რაც უფალმა თქვენში დაავანა... ბედნიერი ადამიანი ხართ... ბედნიერება და სიყვარულსიხარულიანი წლები მისურვებია დიდხანს. თქვენი შესაძლებლობები ამოუწურავია... .იყავით, ხართ და იქნებით ადამიანობის, პედაგოგის, ნიჭიერების საზომი... სამყაროს თქვენნაირი ადამიანები ალამაზებენ... მადლობა მისთვის, რაც იყო, არის და იქნება...

ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის
სახელობის სახალხო ლიტერატურული
თეატრის ხელმძღვანელი
იზა ვეფხვაძე

ხარაგაულში „ეროვნული სამოსის" დღე აღინიშნა

ოთხი წელია, რაც 18 მაისს საქართველოში „ეროვნული სამოსის დღე" მასშტაბურად აღინიშნება. ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქი ღია ცის ქვეშ გაცოცხლებულ მუზეუმად იქცევა, ქუჩებში სხვადასხვა ფორმით გამოიფინება ჩვენი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა. ამ დღეს ყოველწლიურად უერთდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. ტრადიცია არც წელს დარღვეულა. ისტორიული მუზეუმის ორგანიზებით, ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა ხარაგაულელებმა ქუჩებში საზეიმო მსვლელობა მოაწყვეს. ღონისძიების ფარგლებში ღია ცის ქვეშ გაიმართა ქართული ტრადიციული ცეკვები და ფოლკლორული სიმღერები შესრულდა. მსვლელობა ისტორიული მუზეუმის ეზოში ანსამბლების „უბისისა" და „საუნჯის" - კონცერტით დასრულდა.

ამავე დღეს, მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პროექტი „ღამე მუზეუმში" განხორციელდა, რომლის ფარგლებში მუზეუმის ეზოში ფონდში დაცული XIX –XX საუკუნეების ტრადიციულ სამოსში გადაღებული ქართველების ფოტო-გამოფენა მოეწყო.

მუზეუმის ხელმძღვანელმა ნინო დიდიძემ სამუზეუმო ექსპონატების გამდიდრებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელით რამდენიმე ხარაგაულელი დააჯილდოვა.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმების საერთაშორისო დღე საქართველოში 2010 წლიდან აღინიშნება, ხოლო აქციის „ღამე მუზეუმში" -ტრადიციად დამკვიდრების ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2015 წელს გამოვიდა.

ლელა გუგულაშვილი

საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს

დეპუტატებმა 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 2 399 000 ლარით, ხოლო ფაქტობრივად მიღებულია 2 262 900 ლარი, რაც გასული წლის მაჩვენებელს 485 800 ლარით აღემატება. რაც შეეხება გადასახადების ნაწილს, დაგეგმილი იყო 1 590 100 ლარი, შემოსულია 1 087 500 ლარი.

საკითხის წარდგენის შემდეგ დეპუტატებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს.

მეწარმე სუბიექტების უპასუხისმგებლობა, ჩაუბარებელი პროექტები, სასმელი წყლის პრობლემა - ამ და სხვა საკითხებზე გაამახვილა ყურადღება საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არის მშრალი და არ იძლევა სიღრმისეული ანალიზის საშუალებას. ვერ ხერხდება გარკვევა, თუ რა სამუშაოები ჩატარდა კონკრეტული თანხით და ამ ეტაპზე რა მდგომარეობაა. იგი ასევე განმარტავს, რომ საჭიროა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა გაითვალისწინოს საკრებულოს შენიშვნა - რეკომენდაციები, რათა მომავალი კვარტლის ანგარიში იყოს გამართული.

დეპუტატმა თავის გამოსვლაში სოციალური მიმართულებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაფინანსების გაზრდის აუცილებლობაზე ისაუბრა. მისივე თქმით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ხარაგაულში ასევე სასმელი წყლის მოწესრიგებაა, რომელიც ზაფხულის დადგომასთან ერთად უფრო მძაფრდება.

განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ ბორის სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებულ საბავშვო ბაღზე ისაუბრა. მისივე თქმით, აუცილებელია, ბაღი ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებას შეუერთდეს. გარდა ამისა, დავით კიკნაძე მიიჩნევს, რომ თანხა, რომელიც პირველი საბავშვო ბაღის გაზიფიცირებისთვისაა გამოყოფილი, არასაკმარისია.

ინფრასტრუქტურულ პროექტებს შეეხო ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ფხალაძე. „ამ მიმართულებით 629 ათასი ლარით ნაკლები შესრულებაა გასულ წელთან შედარებით, ეს კი იმ ფონზე, როცა გასული წლის თანხებიც ასათვისებელია. სამწუხაროა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხიდ-ბოგირებზე თანხები არ დახარჯულა, რომლის რეაბილიტაცია სტიქიის ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან მიმდინარეობდა. პრობლემაა გარე განათებასთან დაკავშირებითაც," -განაცხადა მალხაზ ფხალაძემ.

ფარცხნალის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ ჭიპაშვილი ამბობს, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფლების უმრავლესობამ გზის დახრეშვა აირჩია, ქვიშა - ხრეშის ზესტაფონიდან მოტანა კი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და პროექტი ხარისხიანად ვერ განხორციელდება.

დაუსრულებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს ასევე, დეპუტატებმა: ლადო ტალახაძემ, გივი ხიჯაკაძემ, ვახტანგ ტალახაძემ, ლენა აბაშიძემ, დოდო ხაჩიძემ და ფრაქციის „ძალა ერთობაშია" თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილმა.

როგორც ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა თემური თაბუკაშვილმა აღნიშნა, მეწარმეებს ივნისის ბოლომდე მიეცათ ვადები, რათა მოხდეს სამუშაოების დასრულება. თაბუკაშვილმა დეტალურად განმარტა, ამ ეტაპზე თითოეულ თემში რა მდგომარეობაა. მისივე განცხადებით, პროექტების შესრულების დაბალი მაჩვენებელი არაკეთილსინდისიერი მეწარმეებითაა გამოწვეული, რომლებმაც ერთდროულად რამდენიმე ტენდერში გაიმარჯვეს და სამუშაოების შესასრულებლად არ გაზარდეს არც ტექნიკისა და არც მუშახელის რაოდენობა. „მეწარმეებს ხელშეკრულების ვადები გადაეწიათ და განესაზღვრათ საბოლოო ვადები, ყოველივე სამხარეოსა და შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლებთან შეთანხმებით გადაწყდა. თუ ამჯერადაც ვერ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, მათ ხელშეკრულება შეუწყდებათ," - განმარტა სამსახურის უფროსმა.

თამარ მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ

სამედიცინო კორპორაცია „ევექსისა“ და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს ორგანიზებით, ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრში უფასო სამედიცინო აქცია მოეწყო. დაბაში მცხოვრებ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიეღოთ ანგიოქირურგის, ენდოკრინოლოგის, ოფთალმოლოგის, გინეკოლოგის, კარდიოლოგის კონსულტაციები და ჩაეტარებინათ ექოსკოპიური კვლევები. გამოვლენილი დაავადების გამო ბევრ პაციენტს ვიზირება მიეცა შემდგომ კვლევებზე და ოპერაციულ ჩარევებზე. აქციაში მონაწილეობდნენ კორპორაცია „ევექსის“ ქუთაისის წამყვანი ექიმები: საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრის კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კარდიოქირურგიული განყოფილების უფროსი ნიკოლოზ ვაშაყმაძე, კლინიკის წამყვანი კარდიოლოგები: ელისო ჩაფიძე და სალომე ბენიძე; ანგიოქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი ანგიოქირურგი დავით კოვზირიძე, ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნინო ჩეჩელაშვილი, ქუთაისის რეგიონალური ჰოსპიტლის ოფთალმოლოგი ნათია დავითულიანი, ონკოლოგიური ცენტრის რადიოლოგი რუსუდან ძოწენიძე, გინეკოლოგი შორენა სიხარულიძე. სამედიცინო აქციის პარალელურად კარდიოქირურგმა ნიკოლოზ ვაშაყმაძემ ლექცია-სემინარი ჩაატარა ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და ოჯახის ექიმებისთვის. შეხვედრაზე ისაუბრეს კარდიო პაციენტების მართვის პრინციპზე, კარდიოქირურგიული დეპარტამენტის მიღწევებსა და მომავალ გეგმებზე.

კორპორაცია „ევექსის“ რეგიონული წარმომადგენლის, თამარ ჩინჩალაძის, ინფორმაციით, ასეთი სახის აქცია ხარაგაულში კიდევ დაიგეგმება და სოფლების მოსახლეობას მიეცემა საშუალება, უფასოდ მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ორგანიზებით, ხარაგაულში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების გამოკვლევები.

აქცია ხარაგაულის საჯარო სკოლების მეცხრე და მეათე კლასების მოსწავლეებისთვის ჩატარდა.

გამოკვლევებისთვის მოწვეული ჰყავდათ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ენდოკრინოლოგ-რადიოლოგი გულიკო ქაჯაია და ლაბორანტი ქეთევან უბაშვილი.

აქციის ფარგლებში სულ 259 ბენეფიციარი გამოიკვლიეს.

ᲚᲔᲚᲐ ᲒᲣᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲡᲐᲚᲝᲢᲑᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ

ხარაგაულში სალოტბარო სკოლა უახლოეს პერიოდში ჩამოყალიბდება. როგორც მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ განმარტა, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრში“ არსებული ხალხური შემოქმედების სახლის ბაზაზე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ჩამოაყალიბებს სალოტბარო სკოლას. ის სახელფასო ანაზღაურება, რაც ხალხური შემოქმედების სახლში დასაქმებულ თანამშრომლებს აქვთ, გრანტის სახით ფოლკლორის ეროვნულ ცენტრს გადაეცა, აღნიშნულს საკრებულომ მხარი უკვე დაუჭირა.

ირინე ჩხეიძის თქმით, სალოტბარო სკოლაში დასაქმდებიან: ლოტბარი, რეგენტი და მენეჯერი. რაც შეეხება ქორეოგრაფსა და დამლაგებელს ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრში“ დასაქმდებიან.

განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძე მიიჩნევს, რომ სალოტბარო სკოლის ჩამოყალიბების შემთხვევაში ამ კუთხით ბავშვების სწავლების ხარისხი ამაღლდება.

დეპუტატებმა სალოტბარო სკოლის ჩამოსაყალიბებლად მემორანდუმის გაფორმების თაობაზე მერს მხარი ერთობლივად დაუჭირეს.

თამარ მაღრაძე

ᲯᲝᲛᲐᲠᲓᲝᲑᲐ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲨᲘ

სპორტის ექსტრემალურ სახეობაში მდინარე ჩხერიმელაზე დაშვება განხორციელდა, რომელშიც 35-მდე ხარაგაულელმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. ჯომარდობამ სტარტი ე.წ. „დიდების ხიდიდან“ აიღო და სვლა ზედა ლაშემდე განაგრძო. მდინარეზე დაშვება ოთხი ნავით განხორციელდა. თითოეულ მათგანში თითო გამოცდილი ინსტრუქტორი იყო. ნავების გადაადგილებას ჩხერიმელაზე ჯომარდობის ფედერაციიდან სპეციალური ჯგუფი აკონტროლებდა.

გაზაფხულის ამ დროს მდინარე ჩხერიმელა საკმაოდ წყალუხვია, ამიტომ სვლა 5 - კილომეტრიან მონაკვეთზე საკმაოდ რთული აღმოჩნდა, ფინიშამდე ყველა მონაწილე მშვიდობით მივიდა.

ჯომარდობა ხარაგაულში, ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით, წელს მეოთხედ ჩატარდა.

როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, ჩხერიმელას ხარაგაულში ჯომარდობის განსავითარებლად კარგი რესურსი აქვს და ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ჰპირდება.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲜᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში თვითნასწავლი მხატვრის გიორგი კურტანიძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

გიორგი ბავშვობიდანაა გატაცებული სპორტითა და ხატვით. იგი გარკვეულ პერიოდში ხატვის საიდუმლოებებს ეუფლებოდა ცნობილი მხატვრის, ილო პატაშურის, სახელოსნოში. 2016 წელს მონაწილეობა მიიღო ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ გამართულ ბავშვთა საერთაშორისო კონკურსში, სადაც გაიმარჯვა და დიპლომი გადაეცა. ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები საგულდაგულოდ დაათვალიერეს სტუმრებმა და აღტაცება ვერ დამალეს.

გიორგი ბედნიერია, რომ მისმა ნამუშევრებმა ასეთი მოწონება დაიმსახურა და სტუმრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚ ,,ᲘᲐᲚᲝᲜᲘᲡ'' ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ხარაგაულის კინოთეატრში მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებითა და ა(ა)იპ კულტურის ცენტრის მხარდაჭერით, ქალთა ანსამბლ „იალონის“ კონცერტი გაიმართა. ანსამბლმა მაყურებელს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური შემოქმედების მარგალიტები შესთავაზა. „იალონი“ ხარაგაულში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომობის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში ჩამოვიდა.

მგალობელ გოგონათა გუნდი „იალონი“ 2009 წლიდან ეწევა ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობის, ხალხური სიმღერებისა და ქალაქური მუსიკის შესწავლა-პოპულარიზაციას და იგი საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ქალთა ანსამბლად არის აღიარებული.

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

მიმდინარე წლის მარტის თვეში, სტიქიის შედეგად, სოფელ ვერტყვიჭალაში რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სახურავი დაზიანდა. მერის წარმომადგენელმა ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში კახაბერ ლომიძემ და მისმა თანაშემწე დავით ლომიძემ უმოკლეს ვადაში მოახდინეს რეაგირება და ყოველივე შესაბამის სამსახურებს წარუდგინეს. მალევე ვერტყვიჭალის უბნებზე დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად შემოტანილ იქნა შესაბამისი რაოდენობის გადასახური სამშენებლო მასალა. დახმარება გაეწიათ ვერტყვიჭალის მცხოვრებლებს დავით ბლიაძეს, ლერი პაქსაშვილს, ფატმან ლურსმანაშვილს. აქვე მინდა გავიხსენო, რომ გასული წლის ნოემბერში ანალოგიური დახმარება გაეწიათ დიმიტრი ბლიაძეს, ჯამბულ ინასარიძეს, ჯონი ინასარიძეს, სოსო ლურსმანაშვილს, ტარიელ გოგოლაძესა და გიორგი ბლიაძეს.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და აქვე აღვნიშნო, რომ ამჟამად ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, მათ შორის, ვერტყვიჭალაში მიმდინარეობს შიდა საუბნო გზების აღდგენა და კეთილმოწყობა.

ვერტყვიჭალაში დაბადებული და გაზრდილი 67 წლის კაცი ვარ. გულწრფელად მინდა გითხრათ, ის რაც ბოლო წლებში სოფლის განვითარებისთვის კეთდება არც ერთ ხელისუფლებას არ გაუკეთებია. სწორედ ამიტომ ვერტყვიჭალელების სახელით მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ თოფურიძეს, საკრებულოს თავჯდომარეს, მანანა ბარბაქაძეს, ხუნევის მაჟორიტარ დეპუტატს ლენა აბაშიძესა და მერის წარმომადგენელს კახაბერ ლომიძეს.

პატივისცემით,
დავით ბლიაძე

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

მიმდინარე წელს, აპრილის თვეში, ძლიერი ქარის შედეგად დამიზიანდა საცხოვრებელი სახლის სახურავი. დახმარებისათვის მივმართე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას. უმოკლეს ვადაში მოხდა რეაგირება, შემიძინეს საჭირო მასალები, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს.

სოფელ წყალაფორეთში მცხოვრები დავით გიგაშვილი

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595-51-98-12